საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამბოკაძე ედუარდ მიხეილის ძე

ამბოკაძე ედუარდ მიხეილის ძე (10. VII. 1935, სოფ. მოხისი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი), ფერმწერი, გრაფიკოსი.

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1961). მისი პედაგოგები იყვნენ ს. ქობულაძე, კ. სანაძე. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1962-იდან. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1963-იდან). ა. ძირითადად პეიზაჟისტია, ქმნის საქართვ. ბუნების ამსახველ სურათებს. ნამუშევრები: „სვეტიცხოველი“ (1959), სერია „თუშეთი“ (1971, 1992), „ქსნის ციხის მიდამოები“ (1977, ყველა საქართვ. სურათების გალერეა, თბილისი). ა. ავტორია ისტ. და თანამედროვე თემებზე შექმნილი სურათებისა: „წინაპართა მახვილი“ (1967), „მესაზღვრეები“ (1964), „ქართული ნავთი“ (1976), „სარკმელი“, „გაფრენა“ (1987), „სალოცავისკენ“ (1988, ყველა ავტორის კუთვნილება). მოღვაწეობს როგორც მხატვარ-ილუსტრატორი 1958-იდან ჟურნ. „პიონერში“ (ახლანდ. „ნაკადული“), ხოლო 1962-იდან ჟურნ. „დილასა“ და გამომც. „ნაკადულში“; გაფორმებული აქვს ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ი. ევდოშვილის და სხვა ნაწარმოებები, ქართ. ხალხ. ზღაპრები („ნაცარქექია“, „ცეროდენა“) და მულტიპლიკაციური ფილმები.